

სულხან-საბას იგავ-არაკების წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“  
დადასტურებული აფორიზმები და მათი ინგლისური თარგმანები  
(ოლივერ უორდროპისა და ქეთრინ ვივიანის თარგმანების მიხედვით)

მარიამ ჯალაღონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*



პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,  
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება:  
ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი  
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯალალონია

29.06.2021

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში “სულხან-საბას იგავ-არაკების წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ დადასტურებული აფორიზმები და მათი ინგლისური თარგმანები (ოლივერ უორდროპისა და ქეთრინ ვივიანის თარგმანების მიხედვით)“, განალიზებულია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში გამოყენებული აფორიზმების ინგლისურ ენაზე თარგმნის ხერხები „სიბრძნე სიცრუისას“ ორი, ოლივერ უორდროპისა და ქეთრინ ვივიანის, ინგლისური თარგმანის მიხედვით. სულხან-საბას აფორიზმებისა და მათ ინგლისური თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზისას გათვალისწინებულია მონა ბეიკერის ეკვივალენტობის თეორია, ნიუმარკის თეორია სემანტიკური და კომუნიკაციური თარგმანის შესახებ, ჟან-პოლ ვინესა და ჟან დარბელნეს მიერ აღწერილი მთარგმნელობითი სტრატეგიები და ლორენს ვენუტის თეორია გაშინაურებისა და გაუცხოების სტრატეგიების შესახებ.

დადგენილია, რომ ორივე მთარგმნელის ვერსიაში იკვეთება როგორც სემანტიკური, ისე კომუნიკაციური მიდგომა, თუმცა უორდროპი უფრო მეტად ორიენტირებულია სამიზნე მკითხველზე და მის კულტურულ კონტექსტზე, ვივიანი კი - წყარო ტექსტზე.

**საკვანძო სიტყვები:** აფორიზმი, ეკვივალენტობა მყარი შესიტყვებების დონეზე, სემანტიკური და კომუნიკაციური თარგმანი, ვინესა და დარბელნეს მთარგმნელობითი სტრატეგიები და პროცედურები, ვენუტის გაშინაურებისა და გაუცხოების სტრატეგიები.

## Abstract

This Master's thesis "Aphorisms Found in Sulkhan-Saba Orbliani's "Book of Wisdom and Lie" and Their English Translations by Oliver Wardrop and Katharine Vivian" analyzes the ways Sulkhan-Saba's aphorisms are rendered into English by the two prominent translators. The analysis is based on Mona Baker's equivalence theory (equivalence above word level), Newmark's theory on semantic and communicative translation, translation strategies and procedures described by Jean-Paul Vinay and Jean Darbelnet and Lawrence Venuti's domestication and foreignization theory.

It has been found that both translations manifest semantic as well as communicative approaches, though Wardrop seems to be more oriented towards the target reader and their culture, while Vivian is more focused on the source text.

**Keywords:** aphorism, equivalence above word level, semantic and communicative translation, translation procedures, domestication and foreignization strategies